SMP 17000 1780

ხელშეკრულება 11/07

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ონი

12 ივლისი 2017 წელი

ერთის მხრივ ონის მუნიციპალიტეტის გამგეობა (შემდგომში „შემსყიდველი"), მისი გამგებლის გიორგი ლობჯანიძის სახით და მეორეს მხრივ შპს „ცოტნე" (შემდგომში „მიმწოდებელი") მისი დირექტორის პავლე გოგშელიძის სახით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10' მუხლის მე-3 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის თანხამად დებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგიმნიშვნელობა:

1.1 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (შემდგომ _ ხელშეკრულება) _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 ხელშეკრულების ღირებულება ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 შემსყიდველი ორგანიზაცია (შემდგომ შემსყიდველი) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 მიმწოდებელი ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და უზრუნველყოფს სამუშაოების გაწევას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 დღე; კვირა; თვე; -ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. შესყიდვის ობიექტი და მისი მიღება-ჩაბარების წესი

2.1 ხელშეკრულების საგანია ქ ონში 2017 წლის 5 ივლისს მომხდარი სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოები, კერძოდ ქ ონში მდინარე რიონის კალაპოტის ფორმირების, ნაპირსამაგრის მოწყობისა (დანაყოფის კოდი-45240000) და აღნიშნულ ობიექტამდე მისასვლელი გზის მოწყობის (დანაყოფის კოდი-45230000) სამუშაოების შესყიდვა (შემდგომში – "შესყიდვის ობიექტი" ან/და "სამუშაოები").

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ღირებულება შეადგენს 650000 (ექვსასორმოცდაათი ათასი) ლარს დღგ-ს ჩათვლით (დაფინანსების წყარო-სახელმწიფო ბიუჯეტი).

2.3. შესყიდვის ობიექტის (სამუშაო) ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ სათანადო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ.

2.5. შესყიდვის ობიექტის შუალედური ან/და საბოლოო მიღება-ჩაბარება მოხდება სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" ან სსიპ -აკრედიტაციის ეროვნული ორგანოს-აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტირებული სხვა პირისაგან გაცემული (ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობისა და ხარისხის დამადასტურებელი) დასკვნის საფუძველზე (ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებს მიმწოდებელი).

2.6 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შემდეგ გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი, კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე, შემსყიდველისაგან განსაზღვრულ გონივრულ ვადაში;

2.7 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს შემოწმების შემდეგ დარღვეულმ შესყიდვის ობიექტის წუნდების მიზეზების მითითებით;

3. სამუშაოს შესრულების პირობები

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადაა 2017 წლის 30 ოქტომბრამდე

3.2. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებისთანავე დაიწყოს პირველი რიგის სამუშაოების შესრულება, რომელიც შემდგომ გათვალისწინებული იქნება საპროექტო/საღარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში, კერძოდ: შესაბამისი ტექნიკის მობილიზება, ობიექტამდე მისასვლელი გზის მოწყობა, IV უბანზე მდინარე რიონის კალაპოტის ფორმირება (გადაგდება) და ლოდნარის მოწყობა.

3.3. მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს სამუშაოები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, საქართველოში მოქმედი ყველა საჭირო ნორმების, სტანდარტებისა და წესების მოთხოვნების დაცვით;

3.4. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოთა შესრულებისას დაიცვას შრომის უსაფრთხოების ნორმები და პირობები;

3.5. მიმწოდებლი ვალდებულია სამუშაოთა შესრულებისას არ დააზიანოს შემსყიდველის ქონება. თუ ინსპექტირების ჯგუფის მიერ გამოვლინდება მიმწოდებლისაგან შემსყიდველის ქონების დაზიანების ფაქტი და შედგა შესაბამისი აქტი, მიმწოდებელი ვალდებულია სრულად აანაზღაუროს მიყენებული ზარალი. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველის მიერ ზიანის ანაზღაურების თაობაზე მიმწოდებლისთვის ოფიციალურად გაგზავნილი შეტყობინებიდან 20 დღის განმავლობაში მიმწოდებლის მიერ არ ანაზღაურდება ზარალი სრული ოდენობით, შემსყიდველი უფლებამოსილია, ზიანის ოდენობის ფარგლებში, მიმწოდებელს არ აუნაზღაუროს შესრულებული სამუშაოს ღირებულება;

3.6. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოთა შესრულებისას იხელმძღვანელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მიხედვით,

3.7. შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და პირობებით;

3.8 იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული გარემოებების გამო, მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხაზე ნაკლები, შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს მის მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ღირებულებას ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთეული ფასების შესაბამისად.

3.9 ინფორმაცია ქვეკონტაქტორის შესახებ

ა) მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში ქვეკონტრაქტორი აყვანის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ბ) ქვეკონტრაქტორი არ უნდა იყოს რეგისტრირებული სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში- „შავი სია".

გ)) მიმწოდებელს არ აქვს უფლება აიყვანოს ქვეკონტრაქტორი შემსყიდველის თანხმობის გარეშე.

დ) შემსყიდველის თანხმობის გარეშე ქვეკონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში იგი უფლებამოსილია მიმწოდებელს ცალმხრივად შესუწყვიტოს ხელშეკრულება და დააკისროს ჯარიმის სახით პირსაგამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 2%-ის ოდენობით.

ე) ქვეკონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში მიწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარმოუდგინოს ქვეკონტრატის ასლი, მასში გათვალისწიბებული სამუშაოების დასახელება და ღირებულება.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1. კონტროლს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით განახორციელებს შემსყიდველის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირი ან/და სპეციალური ჯგუფი (ინსპექტირების ჯგუფი), რომლებიც ამოწმებენ ხელშეკრულების მიხედვით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას,

4.2. მიმწოდებელმა ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;

4.3. მიმწოდებლის გასაწევ, ან უკვე გაწეულ სამუშაოებზე კონტროლი (ინსპექტირება) ხორციელდება სისტემატიურად შემსყიდველის შეხედულებისამებრ;

4.4. შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად აწარმოებს კონტროლს სამუშაოების მიმდინარეობაზე, თანახმად საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების, სტანდარტების და წესებისა, რომელთა დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია შეაჩეროს სამუშაოები და განახორციელოს ამ ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციები;

4.5. შემსყიდველი ან მის მიერ საამისოდ შერჩეული პირი ვალდებულია მიმწოდებელთან ერთად აწარმოოს სამუშაოების შესრულებაზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების მიმდინარეობის კონტროლი;

4.6. ხელშეკრულების ფარგლებში ანაზღაურებული იქნება მხოლოდ იმ სამუშაოების ღირებულება, რომლის მოცულობასა და ხარისხზე არსებობს შემსყიდველის მიერ შერჩეული ინსპექტირების ჯგუფის მიერ შედგენილი შესაბამისი დამადასტურებელი აქტი.

5. ანგარიშსწორების პირობები.

5.1 5.1 საბოლოო ან/და შუალედური ანგარიშსწორება მოხდება ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების შესაბამისად, სსიპ ,,ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" ან სსიპ - აკრედიტაციის ეროვნული ორგანოს-აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტირებული სხვა პირისაგან გაცემული (ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობისა და ხარისხის დამადასტურებელი) დასკვნის საფუძველზე (ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებს მიმწოდებელი).

5.2 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება გადარიცხვით მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში;

5.3. იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული გარემოებების გამო, მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხაზე ნაკლები, შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს მის მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ღირებულებას ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთეული ფასების შესაბამისად.

5.4 საავანსო ანგარიშწორება არ გამოიყენება.

6. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

6.1. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 9 კალენდარულ დღეში შემსყიდველს წარმოუდგინოს წინამდებარე ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3%-ის ოდენობით. გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ეროვნულ ვალუტაში-ლარში.

6.2. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა არანაკლებ 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ელშეკრულების მოქმედების ვადას.

6.3. იმ შემთხევაში თუ მიმწოდებელი ხელშეკრულების ამ მუხლის მე-6.1 პუნქტში გათვალისწინებულ ვადაში არ წარმოადგენს საბანკო გარანტიას შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

7. გარანტია.

7.1 შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადა განისაზღვრება არანაკლებ 2 (ორი) წლით მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან, რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა, გარდა იმ შემთხვევებისა როცა ხარვეზები მიღებულია მიმწოდებლისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. (არასწორი ექსპლუატაცია ან/და მექანიკურად მიყენებული ზიანი)

8. ფასები

8.1 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

8.2 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზემეტი ოდენობის გაზრდა.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

9.2 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

9.3 ხელშეკრულების პირობების (იგულისხმება ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების/ვალდებულების საერთოდ შეუსრულებლობა) შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლო განისაზღვროს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით;

9.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში (მათ შორის, ვალდებულების ვადაგადაცილების დროს) მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების (იგულისხმება დარჩენილი შეუსრულებელი ვალდებულება) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

9.5 ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში შესასრულებელი (იგულისხმება დარჩენილი შეუსრულებელი ვალდებულება) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით;

9.6 მიმწოდებელი ვალდებულია პირსაგამტეხლო ჯარიმა (არსებობის შემთხვევაში) გადაიხადოს შემსყიდველისაგან გაგზავნილი შესაბამისი შესტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარულ დღეში.

9.7. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადაგადაცილება აღემატება 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღეს შემსყიდველი იტოვებს უფლებამოსილებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1 მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის ხელშეკრულების განხორციელების პროცესში მხარეთა შორის წარმოქნმნილი სადაო საკითხების გადაწყვეტა მოხდება ურთიერთმოლაპარაკების გზით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში სასამართლოს გზით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა.

11.1. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, მიმწოდებელის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში;

11.2. შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ;

11.3 მიმწოდებლის მიმართ დაიწყო გაკოტრების საქმის წარმოება;

11.4 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.5. შემსყიდველი უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება თუ მიმწოდებელი არაჯეროვნად ასრულებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოებს.

11.6. შემსყიდველი ხელშეკრულების სრული ან ცალკეული შეწყვეტის გადაწყვეტილების მიღებისას ვალდებულია შეატყობინოს მიმწოდებელს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მიმწოდებელს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

12.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ~ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

12.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. დამატებითი პირობები

13.1. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას;

13.2. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია;

13.3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგან თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება როგორც შემსყიდველთან ასევე მიმწოდებელთან;

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 1 დეკემბრამდე.

მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:
ონის მუნიციპალიტეტის გამგეობა

/გიორგი ლობჟანიძე/
ქ. ონი, დ.აღმაშენებლის მოედ.№1
ტელ.: 551 55 04 03
ს/კ 237978275
ანგ. № GE24NB0330100165022
სახელმწიფო ხაზინა
ბ.კ TRESGE22

მიმწოდებელი:
შპს „ცოტნე"

/პავლე გოგშელიძე/
ონი, სოფელი შარდომეთი
ტელ.: 595 91 86 68
ს/კ 4379766460
ანგ. № GE75LB0113110366051000
ს.ს. „ლიბერთი ბანკი"
ბ.კ: LBRTGE22

ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია # PE40472-17

თბილისი

17 ივლისი 2017 წელი

გარანტი: სს საქართველოს ბანკი (შემდგომში „გარანტი")
გარანტის საიდენტიფიკაციო კოდი: 204378869
გარანტის მისამართი: გაგარინის ქ. #29ა, თბილისი, 0160, საქართველო
პრინციპალი: შპს ციოტნე (შემდგომში „პრინციპალი")
პრინციპალის საიდენტიფიკაციო კოდი: 437976460
პრინციპალის მისამართი: საქართველო, ონი, ს. სორი
ბენეფიციარი: თვითმმართველი ერთეული ონის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „ბენეფიციარი")
ბენეფიციარის საიდენტიფიკაციო კოდი: 237978275
საგარანტიო თანხა: 19,500 (ცხრამეტი ათას ხუთასი) ლარი

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ პრინციპალმა ქ.ონში მდინარე რიონის კალაპოტის ფორმირების ნაპირსამაგრის მოწყობისა და აღნიშნულ ობიექტამდე მისასვლელი გზის მოწყობის სამუშაოების ჩატარების მიზნით იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით 2017 წლის 12 ივლისს გაფორმებულ #1/107 ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ, გარანტი, თანახმა ვართ გავცეთ პრინციპალის სახელზე აღნიშნული უპირობო საბანკო გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე პრინციპალის სახელით საერთო თანხაზე, არაუმეტეს ჯამში 19,500 (ცხრამეტი ათას ხუთასი) ლარი და ვკისრულობთ ზემოთ აღნიშნული თანხის, გადახდას პრინციპალის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის წარმოდგენის საფუძველზე მოთხოვნის წარმოდგენიდან, მომდევნო 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში.

ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნა თანხის ანაზღაურებაზე წარმოდგენილ უნდა იქნეს ბენეფიციარის მხრიდან აღნიშნულ დოკუმენტზე უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი ფორმით, სადაც მითითებულ იქნება მოთხოვნილი თანხა ციფრობრივად და სიტყვიერად, საბანკო რეკვიზიტები და განმარტებული უნდა იყოს კონკრეტულად პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული ხელშეკრულების რა პირობები იქნა დარღვეული პრინციპალის მხრიდან. მოთხოვნას თან უნდა ერთვოდეს მოთხოვნაზე ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (ბანკი უფლებამოსილია არ მოითხოვოს აღნიშნული საბუთი, თუ ხელმომწერი პირის უფლებამოსილების შესახებ ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია) და საბანკო გარანტიის ასლი.

წინამდებარე გარანტია ძალაშია პრინციპალის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების საბოლოოდ დამთავრებამდე, მაგრამ არაუგვიანეს: 05 იანვარი 2018 წელი, შესაბამისად წინამდებარე გარანტია მოქმედებს აღნიშნული თარიღის ჩათვლით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საბანკო გარანტიაზე მოთხოვნა ან პრეტენზია წარმოდგენილ უნდა იქნეს საბანკო გარანტიის ვადის გასვლამდე მისამართზე: სს „საქართველოს ბანკი" (ს/კ: 204378869), სათაო ოფისი, გაგარინის ქ. #29ა, თბილისი 0160, საქართველო, თბილისის დროით (UTC/GMT +04:00 hours) 17:00 საათამდე, კანცელარიის სამსახურში, ვაჭრობის ფინანსირების დეპარტამენტის საყურადღებოდ.

საბანკო გარანტია ავტომატურად უქმდება ქვემოაღნიშნული გარემოებებიდან ერთ-ერთის დადგომისთანავე:

- საბანკო გარანტიის ვადის გასვლით.
- გარანტის მიერ ბენეფიციარისთვის იმ თანხის გადახდით, რომელზედაც გაიცა საბანკო გარანტია.
- ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე წერილობით უარის თქმით.

გარანტის მიმართ საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის კუთვნილი მოთხოვნის უფლების გადაცემა/დათმობა სხვა პირისათვის დაუშვებელია გარანტის წერილობითი თანხმობის გარეშე.

წინამდებარე საბანკო გარანტია რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

პატივისცემით,
ფიქრია კეკელიძე
საერთაშორისო საგაჭრო ოპერაციების სამსახურის უფროსი

204378869

N 780

12/07/2017

ონის მუნიციპალიტეტის გამგებელს
ბატონ გიორგი ლობჯანიძეს

ბატონო გიორგი,

2017 წლის 5-7 ივლისის სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციოდ გამარტივებული შესყიდვის წესით გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში აუცილებელია მიმწოდებლებმა (საპროექტო დოკუმენტაციის დასრულებამდე), დაიწყონ პირველი რიგის გადაუდებელი სამუშაოების შესრულება, რომელიც შემდგომ გათვალისწინებული იქნება საპროექტო დოკუმენტაციაში, კერძოდ:

სოფელი ღები,

1. ტექნიკის მობილიზება, კვაიშური-თევრეშო, გორგასახო-თევრეშოს მისასვლელი გზის მოშანდაკება
2. მშენებლობის პერიოდში ორივე უბანზე ალტერნატიული გზების მოწყობა.
3. მდ. გორგასახოსა და მდ. ლისინზე წყალგამტარი მილების მოწყობა
4. კვაიშური -თევრეშოს გზაზე გრუნტის სამუშაოები(გაფართოება)

ქ. ონი

1. ტექნიკის მობილიზება, მისასვლელი გზის მოწყობა
2. IV უბანზე მდინარე რიონის კალაპოტის ფორმირება (გადაგდება)
3. ლოდნარის მოწყობა.

გთხოვთ, საკითხი შემდგომი რეაგირებისათვის გადაუგზავნოთ შესაბამის სამსახურს.

პატივისცემით,

თეიმურაზ გრძელიშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

არქიტექტურის,ზედამხედველობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური